ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N26

2021 წლის 31 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), დ.აღმაშენებლის გამზირი N116-ის (ს/კ N20.42.06.470), რუსთაველის ქუჩა N116-ის (ს/კ N20.42.05.182), რუსთაველის ქუჩა N117-ის (ს/კ N20.42.06.4392), მ. აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ 20.42.08.242) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 5,0) სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით;

2. შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ტროტუარების სახით რეგისტრირებული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი